შპს„მბმ“. I/K 201944977. LTD GEORGIA POTI

4400 ფოთი პუშკინის 32. Xaraba60@mail.ru t. +995514424242

№ 01/22
22.03.2021

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის
მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

შპს „მბმ“-ის მიერ დაგეგმილია თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოდან წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის (სალექარის) მოწყობა და ექსპლუატაცია ქალაქ ფოთში, 8 მარტის ქუჩა N125-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N04.02.09.590).

დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 პუნქტით (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ ფოთში, 8 მარტის ქუჩა N125-ში, მდებარე, შპს „მბმ“-ის თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოდან წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N04.02.09.340) მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით მომზადდა სკრინინგის განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შპს „მბმ“-ის თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოდან წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N04.02.09.590) მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

№ 4967
"22" 03 2021
3/C9

დანართი: 1. შპს „მბმ"-ის თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოდან წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში;

2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

3. მინდობილობა.

პატივისცემით,

შპს „მბმ"-ის წარმომადგენელი ლევან ბიგვავა 17/03/2021წ.

შ.პ.ს. „მბმ“ MBM ქ.ფოთი პუშკინის 32.
xaraba@60mail.ru mbmpoti@mail.ru tel. 514 42 42 42 ს/კ 201944977

ქ. ფოთი

30/06/2020წ./

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცი წლის 30 ივნისს შპს „შბმ“-მა (201944977), რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც მარწმუნებელი, მისი დირექტორის ბესიკ ხარაბაძის სახით, ლევან ბიგვავას (პ/ნ 62001036003) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: წარმომადგენელი მარწმუნებლის სახელით აწარმოებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს საქართველოს ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოში მარწმუნებლის მიერ შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით. წარმომადგენელს აქვს ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც მხარეს, ან მესამე პირს მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, კერძოდ, წარმომადგენელი უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი, შეგებებული სარჩელი, კერძო საჩივარი სასამართლოში, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს შესაგებელი და მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ, ან მთლიანად სცნოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლოს ყველა აქტი, გადაწყვეტილება და განჩინება, შეიტანოს კერძო საჩივარი და საჩივარი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, აწარმოოს საქმე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი, შეცვალოს სარჩელის, შეგებებული სარჩელის საფუძველი და/ან საგანი, გაადიდოს, ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი აღსრულების ეროვნულ ბიუროში, კერძო აღმასრულებელთან და კანონმდებლობით დადგენილი წესით შეასრულოს ყველა მოქმედება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის. ასევე ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით, რომელიც არ არის მოხსენიებული ამ მინდობილობაში. წარმომადგენელი ასევე უფლებამოსილია წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები საჯარო რეესტრში, შსს-ში და სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებაში. აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად წარმომადგენელი უფლებამოსილია შეიტანოს განცხადება და/ან საჩივარი, გამოიხმოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია და საბუთები, და განახორციელოს ის უფლებამოსილებები, რომელიც არ არის მოხსენიებული ამ მინდობილობაში და საჭიროა წარმომადგენლისათვის დავალებული მოქმედებების განსახორციელებლად. წინამდებარე მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით, 30,06,2021 წლამდე მისი მესამე პირზე უფლებამოსილების გადანდობის უფლების გარეშე.

დირექტორი: ბესიკ ხარაბაძე

30,06,2020

შპს „მბმ“ GEORGIA LIMITED COMPANY MBM * 201944977 *